



MES 1 23 0000369481



31/03/2023

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 17. 03. 2023

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 21:52 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინძე - ჯიშკარიანი (VIII,IX საკითხები)

საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
4. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
5. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
7. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;

8. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.
9. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
10. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
11. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოსმდივანი**;
12. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
13. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
14. **მარინა მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
15. **ნინო ლაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
16. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
17. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
18. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	სტატუსი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
გვანცა ძიძიგური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სოფო ქურასხედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ვლადიმერ ლლონტი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი	I
2	თეონა ბერიძე			I

		სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	
3	ივდით დიასამიძე		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	I
4	ჯემალ კარალიძე		„ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	I
5	ნანა ხახუტაიშვილი		საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „არქეოლოგია“ და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "ისტორია" ხელმძღვანელი, პროფესორი	I
6	ემზარ კახიძე		სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „შავი ზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური ხანის არქეოლოგია“ და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „არქეოლოგია“ ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I
7	ხათუნა დიასამიძე		საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების „ისტორია“ ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I
8	ლევან გორდეზიანი		ძველი ენებისა და ცივილიზაციების	II

		სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამაგისტრო და ისტორიის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი	
9	მურმან პაპაშვილი		შუა საუკუნეების ისტორიის სამაგისტრო და ისტორიის სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი	II
10	თეიმურაზ პაპასქერი		ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო, ისტორიის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი	II
11	თედო დუნდუა		საქართველოს ისტორიის სამაგისტრო, ისტორიის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი	II
12	ვახტანგ ლიჩელი		არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	II
13	ზვიად კვიციანი		არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	II
14	ბონდო კუპატაძე		საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	II
15	აპოლონ თაბუაშვილი		საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	II
16	დარეჯან გარდავაძე		ხარისხის უზრუნველყოფის	II

			სამსახურის წარმომადგენელი	
17	ნინო ქიმერიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	II
18	ნინო კვირიკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	II
19	მურმან ბაქრაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III
20	დავით მახვილაძე		დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
21	მარინა ჯავახიშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
22	მარინა გედევანიშვილი	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV, V
23	კახაბერ კორძაია		დაწესებულების რექტორი	IV, V
24	თამარ კიკნაძე		„ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V
25	დავით გელოვანი	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VI
26	გიორგი ჩართოლანი	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	VII
27	ანანო სამსონაძე		დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VII
28	ნინო ჯოჯუა	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის	VIII, IX

			სამსახურის ხელმძღვანელი	
30	ქეთევან კინწურაშვილი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	X

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცი აელექტრონ ული საშუალებით მონა წილეობის შესახებ	საკითხი
1	პიტერ დ'სენა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თეიმურაზ პაპასქირი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	მერაბ ჭუმბურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
5	ვაჟა მამიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
6	დავით ფუტყარაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
7	ევანგელოს კირიაკიდის	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ემზარ კახიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	თამთა კობახიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
11	პაატა გერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	ნინო ფავლენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
14	თამარ ლობჯანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
15	ანა ქემელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
16	მანანა ლობჯანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII, IX
17	გიორგი წანაწყენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	X
18	ნინო ხაბეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	X

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო, „ისტორიის“ სამაგისტრო, „არქეოლოგიის“ საბაკალავრო, „არქეოლოგიის“ სადოქტორო და „მავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" და "არქეოლოგიის" საბაკალავრო, "საქართველოს ისტორიის", "ძველი ენების და ცივილიზაციების", "შუა საუკუნეების ისტორიის", "ახალი და უახლესი ისტორიის", "არქეოლოგიის" სამაგისტრო და "ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის “ტურიზმის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
5. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის “საერთაშორისო ურთიერთობების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
8. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
9. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
10. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო, „ისტორიის“ სამაგისტრო, „არქეოლოგიის“ საბაკალავრო, „არქეოლოგიის“ სადოქტორო და „შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" და "არქეოლოგიის" საბაკალავრო, "საქართველოს ისტორიის", "ძველი ენების და ცივილიზაციების", "შუა საუკუნეების ისტორიის", "ახალი და უახლესი ისტორიის", "არქეოლოგიის" სამაგისტრო და "ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის “ტურიზმის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
5. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის “საერთაშორისო ურთიერთობების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
8. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
9. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
10. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის საკითხის განხილვა.

1.პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო, „ისტორიის“ სამაგისტრო, „არქეოლოგიის“ საბაკალავრო, „არქეოლოგიის“ სადოქტორო და „შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 04 ნოემბერი; გადაწყვეტილება № 241
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ისტორია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ისტორიაში
10		

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა N35/32, კორპუსი N1, ბათუმი, საფოსტო ინდექსი - 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 12 მარტი; გადაწყვეტილების № 48
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ისტორია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა N35/32, კორპუსი N1, ბათუმი, საფოსტო ინდექსი - 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი არქეოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა N35/32, კორპუსი N1, ბათუმი, საფოსტო ინდექსი - 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 12 მარტი; გადაწყვეტილების № 45
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	შავიზღვისპირეთისა და კავკასიის არქეოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქეოლოგიის მაგისტრი
10		

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა N35/32, კორპუსი N1, ბათუმი, საფოსტო ინდექსი - 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 03 ივლისი; გადაწყვეტილების № 16
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	არქეოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე საფეხური
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქეოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა N35/32, კორპუსი N1, ბათუმი, საფოსტო ინდექსი - 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ, თამარ სირაძემ და ერმილე მესხიამ. აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, პიტერ დსენამ განაცხადა, რომ დაწესებულებაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის დეკემბერში, ჰიბრიდული ფორმატით. ექსპერტთა ჯგუფმა გასწია ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი სამუშაო, შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, დასკვნის პროექტის წერის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მიმდინარეობდა აქტიური განხილვა თუ რა რეკომენდაციები უნდა ყოფილიყო გაცემული. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დაეხმარება უნივერსიტეტს განვითარებაში მომდევნო წლების განმავლობაში. აღსანიშნავი იყო, რომ სწავლა-სწავლების მიმართულება წარმოდგენილი იყო კარგად და ამის თაობაზე მათ განუცხადეს დაწესებულებას. რეკომენდაციები გაცემული იყო ორი მიმართულებით, რეკომენდაციები გაიცა აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის მიმართულებით.

ექსპერტმა, თეიმურაზ პაპასჭირმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო მთელი რიგი რეკომენდაციები. რეკომენდაციების ნაწილი დაწესებულების მიერ იყო გაზიარებული. მან საბჭოს წარუდგინა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და რჩევები:

სტანდარტი 1.4:

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) - რეკომენდებულია ერთი ECTS კრედიტი განისაზღვროს უნივერსიტეტის დებულებით, როგორც 25 საათი და სავალდებულო საგნების კრედიტების საათების რაოდენობა შესწორებული იყოს როგორც სასწავლო გეგმაში, ასევე შესაბამის სილაბუსებში.

პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) - რეკომენდებულია არჩევითი კურსები „ევროპის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ურთიერთობა (XVII – XX)” და „ევროკავშირის ისტორიის პრობლემები“ ამოღებული იყოს სამაგისტრო პროგრამიდან, რადგან ისინი იმეორებენ სხვა კურსებს.

პროგრამა 3 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) - რეკომენდებულია ერთი ECTS კრედიტი განისაზღვროს უნივერსიტეტის დებულებით, როგორც 25 საათი და სავალდებულო საგნების კრედიტების საათების რაოდენობა შესწორებული იყოს როგორც სასწავლო გეგმაში, ასევე შესაბამის სილაბუსებში.

სტანდარტი 1.5:

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) - რეკომენდებულია სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, მომკვლევებელი და/ან უცხოენოვანი ლიტერატურა ამოღებულ უნდა იქნეს შემდეგი სილაბუსებიდან: 1. ზოგადი ეთნოლოგია; 2.. ახლო აღმოსავლეთის ისტორია (V-XXI სს.); 3. შუა საუკუნეების ისტორია (1); 4. შუა საუკუნეების ისტორია (2); 5. ბიზანტიის ისტორია (ინგლისურად სათაური უნდა იყოს History of Byzantine Empire ან History of Byzantium); 6. რუსეთის ისტორია; 7. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია (1) (სწორი სათაური ინგლისურად უნდა დაიწყოს Modern and Contemporary History); 8. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია (2); 9. მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია; 10. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და თანამედროვე ისტორია; 11. შავი ზღვისპირეთის უძველესი ცენტრები; 12. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია; 13. თურქეთის ისტორია (XX-XXI სს.); 14. ქართული, ქართული დიასპორები საზღვარგარეთ; 15. საერთაშორისო ურთიერთობები და კონფლიქტები; 16. საზღვაო სტრატეგია საერთაშორისო პოლიტიკაში; 17. საქართველოს პირველი რესპუბლიკა.

პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა) - რეკომენდებულია სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, სავალდებულო ლიტერატურა გამდიდრდეს და განახლდეს შემდეგ სილაბუსებში: 1. მსოფლიო ისტორიის პრობლემები; 2. საქართველო და ანტიკური სამყარო; 3. საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთობები (X-XVI სს.); 4. საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთობები (XVII-XX სს.); 5. საქართველოს XIX-XX საუკუნეების ისტორიული წყაროები და ისტორიოგრაფია; 6. საქართველოს ეთნოკულტურული ისტორიის პრობლემები; 7. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორია XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე; 8. დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალური და ეკონომიკური განვითარების პრობლემები XVI-XX სს.

სტანდარტი 4.3:

ზოგადი რეკომენდაციები:

უნივერსიტეტმა უნდა განავითაროს თავისი ცენტრალური სისტემა პედაგოგიურ თეორიაში ინოვაციების ჩართულობისა და ცნობიერების ამაღლების მხარდასაჭერად, აკადემიური პერსონალის უფრო დიდი ნაწილის განვითარების მიზნით, რათა გაუმჯობესდეს სწავლების, სწავლისა და შეფასების ინოვაციური პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობები.

სტანდარტი 5.1:

ზოგადი რეკომენდაციები:

რეკომენდებულია ფაკულტეტის დონეზე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერება, კონკრეტულად თითოეული სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის განვითარებისთვის წარმოდგენილი წინადადებების მონიტორინგისა და გაფილტვრის გზით.

ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ პროგრამები გადის ფაკულტეტის საბჭოში პროგრამის კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამუშავებისა და რეკომენდაციის გარეშე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის დონეზე უნდა გაძლიერდეს პროგრამის შეფასებისა და დამტკიცების პროცესებთან დაკავშირებით და პროგრამების შეფასება უფრო სისტემატურად წარიმართოს. კერძოდ, ფაკულტეტის დონეზე აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაფილტვროს პროგრამები ხარისხის გასაუმჯობესების მიზნით. შემდეგ პროგრამები უნდა დამტკიცდეს ფაკულტეტის დონეზე „ფაკულტეტის საბჭოს“ ან მისი ეკვივალენტი ორგანოს მიერ.

რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განავითაროს უფრო ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავებისა და ცვლილებების პროცესში. გასაუმჯობესებელი სფეროები მოიცავს, მაგალითად, სტუდენტის დატვირთვის შეფასებას, სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობას, სილაბუსებსა და შეფასებაში ნებისმიერი გამეორების იდენტიფიცირებას და ა.შ.

სტანდარტი 5.3:

ზოგადი რეკომენდაციები:

მონიტორინგისა და განხილვის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა: სისტემატიურად შეაგროვოს და გააანალიზოს ინფორმაცია სტუდენტის დატვირთვის შესახებ (მაგალითად, სასწავლო მასალის რაოდენობა); გამოყოს კრედიტი, რათა უკეთ აისახოს კურსის შინაარსი, სტუდენტის დატვირთვა და შეფასების მეთოდების საერთო წილი კურსების შუალედური და საბოლოო შეფასებებისთვის. გარდა ამისა, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებმა, როგორცაა კითხვარები, სტუდენტებისგან უნდა გამოავლინოს უფრო კონკრეტული მონაცემები, მათი პროგრამების სახელმძღვანელო ასპექტების ხარისხის შესახებ.

სტანდარტი 1.4:

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

სასურველია გასწორდეს ტექნიკური შეცდომა საქართველოს ისტორიის (X-XIV სს.) კურსის სილაბუსში.

პროგრამა 2 (ისტორია, მაგისტრატურა)

სასურველია დონალდ რეიფილდის წიგნის „იმპერიების ზღვარი: საქართველოს ისტორია“ ჩანაცვლება სხვა ისტორიის წიგნით, რომელიც უფრო შესაფერისი იქნება როგორც სავალდებულო ლიტერატურა პროფესიული ინგლისურის კურსში. დონალდ რეიფილდი არ არის პროფესიონალი ისტორიკოსი და მისი წიგნი შეიცავს უამრავ ფაქტობრივ შეცდომებს. აქედან გამომდინარე, უკეთესი იქნება ამ შემთხვევაში ისტორიკოსების სხვა წიგნების გამოყენება.

სტანდარტი 2.1:

ზოგადი რჩევები:

სასურველია ყველა პროგრამის დაშვების წინაპირობის ფორმულირება ზედმეტად რთულია და ზოგჯერ შეიძლება გამოიწვიოს დაბნეულობა. ალბათ უკეთესი იქნება, მაგალითად, თუ უნივერსიტეტი წარმოადგენს მათ პუნქტების სახით.

სტანდარტი 2.4:

ზოგადი რჩევები:

სასურველია შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების ფორმების დივერსიფიკაცია, კურსის ინდივიდუალური მახასიათებლებისა და მისი სწავლის შედეგების შესაბამისად.

ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ მე-5 სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფას, ასახავდა იმ სუსტ მხარეებს, რომლებიც პროგრამებს გააჩნდათ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის და პროგრამის განმახორციელებლებს შორის სწორი თანამშრომლობის შედეგად შესაძლებელი იყო არსებული ხარვეზების გამოსწორება ადრეულ ეტაპზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს და განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში 2.4 ქვესტანდარტში სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით იყო ჩანაწერი, რომ სამის ნაცვლად წარმოდგენილი იყო ექვსი სწავლის შედეგი. ასევე აღნიშნული იყო, რომ პროფესორის ასისტირება ხორციელდებოდა ერთჯერადად. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დასკვნაში არ იყო წარმოდგენილი არც რჩევა და არც რეკომენდაცია.

ექსპერტმა, თეიმურაზ პაპასქირმა განაცხადა, რომ პროფესორის ასისტირებაზე ჯგუფმა იმსჯელა, რჩევა არ იქნა შემუშავებული იმის, გამო რომ პროფესორის ასისტირება ბრძანებაში გვიანი ჩანამატის გამო აღმოჩნდა სასწავლო კურსების ჩამონათვალში. აღსანიშნავი იყო, რომ ასისტირება არ იყო სასწავლო კურსი და მისი შეფასება შესაძლებელი იყო ერთჯერადად ბოლო ეტაპზე.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ მიმართა ექსპერტს - ია ნაცვლიშვილს, რომელმაც მისი გამოსვლის დროს აღნიშნა, რომ არსებობდა კურიკულუმის კომიტეტი, რომლის დასკვნის საფუძველზე პროგრამა გადიოდა ფაკულტეტის საბჭოზე. მან განაცხადა, რომ გაეცნო ინსტიტუციაში არსებულ პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიას შესაბამისი რეგულირების დოკუმენტის თანახმად. მას აინტერესებდა ექსპერტის მოსაზრება, აღნიშნულ შემთხვევაში ხომ არ ხდებოდა კურიკულუმის კომიტეტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების დუბლირება.

ექსპერტმა, ია ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ ფაქტი გახლდათ ის, რომ ადრეულ ეტაპზე შესაძლებელი იყო ქვედა რგოლის მიერ გარკვეული ხარვეზების აღმოჩენა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. მისი მოსაზრებით უკეთესი იქნებოდა კომიტეტის დასკვნის შემდგომ გაკეთებულიყო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა და ამის შემდგომ გასულიყო პროგრამა ფაკულტეტის საბჭოზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს და დაინტერესდა ამ ეტაპზე დაწესებულებაში პროგრამის დამტკიცების პრაქტიკას ხომ არ შეუშლია ხელი პროცესისათვის და ხომ არ დაფიქსირებულა უარყოფითი შედეგები.

ექსპერტმა, ია ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ შედეგის თვალსაზრისით აღნიშნული წარმოადგენდა ისეთ სისუსტეებს, რომლებიც ფაკულტეტის დონეზე აუცილებლად უნდა შეემჩნია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ლლონტმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი იზიარებდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში ასახულ გარემოებებს. რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულებას ჰქონდა ცალკეული მოსაზრებები, რომლებიც წარმოდგენილი იყო არგუმენტირებული პოზიციის შესახებ წერილში, რომელიც ცნობილი იყო საბჭოს წევრებისათვის. რეკომენდაციების ნაწილი იყო გასათვალისწინებელი და აუცილებლად იქნებოდა მიღებული მხედველობაში. მე-5 სტანდარტთან დაკავშირებულ რეკომენდაციებში გამოკვეთილი იყო ის გარემოებები, რომლებსაც იცავდა დაწესებულება, მაგრამ ეწინააღმდეგებოდნენ ექსპერტები. აღნიშნული შეეხებოდა მეთოდლოგიას, რომელიც უკავშირდებოდა პროგრამის შემუშავებას, განვითარებას და შეფასებას. დასკვნის გაცნობის შემდგომ, დაწესებულებას შეექმნა უკმარისობის გრძნობა იმის თაობაზე, რომ მათი დოკუმენტი, რომელიც რეგლამენტირებას ახდენდა პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესზე, სრულად ვერ იქნა აღქმული. დოკუმენტში დეტალურად იყო აღწერილი პროგრამის მომზადების, განახლების და შეფასების პროცედურები და თანმიმდევრულად იყო გადმოცემული პროგრამების სტანდარტების თავისებურებები და პროცესები, რაც მნიშვნელოვანი იყო საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებისათვის. აღნიშნულის საფუძველი გახლდათ პროგრამის მომზადების პროცესში ყველა დაინტერესებული აქტიური პირის მუდმივი ჩართულობის უზრუნველყოფა. პროგრამის მომზადების პროცედურა გახლდათ შემდეგი: ფაკულტეტზე მზადდებოდა პროგრამა, პირველადი ექსპერტიზისათვის ის გადაეცემოდა კურიკულუმის კომიტეტს, რომელიც შედგებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებისაგან, აკადემიური პერსონალისაგან და ფაკულტეტის დეკანისგან. კურიკულუმის კომიტეტი გახლდათ ხარისხის სამსახურის მიერ შექმნილი პირველადი ექსპერტიზის ჯგუფი, სადაც დეტალურად იყო გაწერილი თუ რა უნდა განხორციელებულიყო პროგრამის პირველადი შეფასების ეტაპზე. ამის შემდგომ, პროგრამა გადადიოდა განსახილველად და დასამტკიცებლად ფაკულტეტის საბჭოზე იმისათვის, რომ გარკვეული ეტაპის გავლის შემდგომ დამტკიცებულიყო აკადემიური საბჭოს მიერ. ასევე არსებობდა ჩანაწერი, რომ აკადემიური საბჭოს მიერ შესაძლებელი იყო მოთხოვნილი ყოფილიყო გარე ექსპერტიზა. აღნიშნული მოდელი მოქმედებდა მთელს უნივერსიტეტში ყველა პროგრამასთან მიმართებით. ექსპერტების მიერ წარმოჩენილი პრობლემები დაკავშირებული იყო იმასთან რომ, კურიკულუმის კომიტეტი ამოქმედდა გასული წლის ივლისის თვეში და როგორც იკვეთებოდა, აღნიშნული კომიტეტის მუშაობამ სრული დატვირთვით, გამოავლინა გარკვეული ხარვეზები. დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით გამოთქმულ რეკომენდაციას ეთანხმებოდა იმ მიმართულებით, რომ დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გაეძლიერებინათ მუშაობა. ამისათვის დაწესებულებამ მოითხოვა აღნიშნული რეკომენდაცია დაფიქსირებული ყოფილიყო როგორც

რჩევა. ეს იქნებოდა ორიენტირი იმისათვის, რომ აღნიშნული მიმართულებით ღრმად წარმართულიყო პროცესი. რაც შეეხებოდა ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილ სხვა რეკომენდაციებს, დაწესებულება იზიარებდა მათ პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით მისთვის ცნობილი იყო დასკვნაში ასახული ნარატივი სწავლის შედეგების რაოდენობასთან და პროფესორის ასისტირებასთან დაკავშირებით, რომლის თაობაზე ექსპერტების მიერ არ იყო გაცემული რეკომენდაცია ან რჩევა. მას აინტერესებდა დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ლლონტმა განაცხადა, რომ პროფესორის ასისტირება აღნიშნულ შემთხვევაში წარმოადგენდა სასწავლო კომპონენტს და ის ფასდებოდა როგორც სასწავლო კომპონენტი. აღნიშნული განსაზღვრული იყო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებით. რაც შეეხებოდა სწავლის შედეგებს, ბუნებრივი იყო ის უნდა ყოფილიყო ბმაში მოქმედ წესთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, გურანდა ჭელიძე დაინტერესდა 1.5 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციით, რომელიც ეხებოდა ისტორიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს. რეკომენდაციის თანახმად, ბიბლიოგრაფიული ბაზა, რომელიც ემსახურებოდა პროგრამული ცოდნის მიღებას და შესაბამისად, პროგრამით და სასწავლო დისციპლინით დასახულ სწავლის შედეგზე გასვლას, რჩებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ. მისი მოსაზრებით, მთლიანად გადასახედი იყო სასწავლო კურსების სწავლებისათვის საჭირო ლიტერატურა. მას აინტერესებდა თუ რამდენად დაძლევადი იყო დაწესებულებისათვის აღნიშნული პრობლემის მოგვარება. ასევე რეკომენდაციებში საუბარი იყო უცხოენოვანი ლიტერატურის ამოღებაზე, კერძოდ რუსულ და თურქულენოვან ლიტერატურაზე იყო გამახვილებული ყურადღება. იგი დაინტერესდა იყო თუ არა დაწესებულებაში მზაობა მომზადებულიყო ლიტერატურა ქართულ ენაზე სტუდენტებისათვის ჰენდაუთების სახით. მას ასევე ჰქონდა კითხვა ისტორიიმაგისტრო პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ მეორე მოდული, რომელიც ეხებოდა თურქეთის ისტორიას შეცვლილი იყო ევროპის და ამერიკის ისტორიის მოდულით. მას სთხოვა უსდს განმარტება თუ რით იყო აღნიშნული ცვლილება გამოწვეული, არსებობდა თუ არა კონკრეტული კვლევა. მას ასევე სურდა მოესმინა განმარტება ისტორიის სამაგისტრო პროგრამის დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით, ვინაიდან ექსპერტების მოსაზრებით მიზანშეწონილი იყო უფრო სისტემურად ყოფილიყო დალაგებული მოთხოვნები, რომელიც დაწესებულებას გააჩნდა ჩარიცხვასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მოთხოვნა გახლდათ უცხო ენის ფლობა B2 დონეზე და საუბარი იყო ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე. მას აინტერესებდა სამაგისტრო პროგრამის მიზნების და შედეგებიდან გამომდინარე როგორ მოახდენდა სტუდენტი სწავლის შედეგზე გასვლას, რომელიც ჩაირიცხებოდა პროგრამაზე ფრანგული, რუსული ან გერმანული ენით. მან ასევე მიმართა ექსპერტებს განმარტებისათვის პროფესიული ინგლისური ენის ლიტერატურის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. არსებული სახელმძღვანელო, მისი მოსაზრებით, სტუდენტს აძლევდა ენის შესწავლის შესაძლებლობას და გარკვეული ხარვეზების აღმოჩენის საშუალებას.

ექსპერტმა, თეიმურაზ პაპასქირმა განაცხადა, რომ პროფესიულ ინგლისურს ასწავლიდა არაპროფესიონალი ისტორიკოსი, არამედ ენის სპეციალისტი. შესაბამისად, ნებისმიერი საუბარი იმაზე, რომ ემსახურება თუ არა სახელმძღვანელოში აღმოჩენილი შეცდომების პოვნა სტუდენტის კომპეტენციის განვითარებას, იყო არასწორი შეხედულება. აღნიშნული გახლდათ ისტორიოგრაფიული საგნის დანიშნულება და არა პროფესიული ინგლისურის. სახელმძღვანელო, რომელიც გამოუსადეგარი იყო ისტორიის სწავლებისათვის, არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული პროფესიული ინგლისურის სილაბუსში.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ მიმართა ექსპერტს და განაცხადა, რომ ლიტერატურასთან დაკავშირებით გაცემული იყო სერიოზული რეკომენდაციები. შესაბამისად, მას სურდა მოესმინა მისი აზრი ხედავდა თუ არა ექსპერტი მზაობას უნივერსიტეტის მხრიდან უცხოენოვანი ლიტერატურა ჩაენაცვლებინა და მოემზადებინა ქართულენოვანი ლიტერატურა და მოეხდინა სილაბუსების კორექტირება.

ექსპერტმა, თეიმურაზ პაპასკირმა განაცხადა, რომ რეკომენდაციის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ მთელი რიგი ლიტერატურა, რომელიც უკვე გამოცემული იყო ქართულ ენაზე, არ იყო გათვალისწინებული. რეალურად არ არსებობდა ლიტერატურის ნაკლებობა, უბრალოდ პროფესორებს არ ჰქონდათ მითითებული ახალი ქართულენოვანი ლიტერატურა ბევრ შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საკმაოდ ვრცელი იყო ლიტერატურის ჩამონათვალი, მაგრამ ამ თვალსაზრისით მითითებული საგნების უმრავლესობა იყო არჩევითი კურსები და მითითებული იყო ცალკე ბლოკად. ბუნებრივი იყო, არჩევითი კურსების ბლოკში ვერ იქნა გათვალისწინებული ზოგიერთი უახლესი სახელმძღვანელო, ვინაიდან დაწესებულებამ ვერ მოასწრო მათი შეძენა. მათ ჰქონდათ ვალდებულება კურსებში შეტანილი ყოფილიყო მხოლოდ ის ლიტერატურა, რომელიც მოიძიებოდა ბიბლიოთეკაში. მიუხედავად ამისა, მათ გარკვეულწილად გამოასწორეს აღნიშნული გარემოება და ის ლიტერატურა, რომელიც იყო შედარებით მოძველებული, მაგრამ აუცილებელი სტუდენტის შედეგისათვის გადატანილი იქნა დამხმარე ლიტერატურის ნუსხაში. რაც შეეხებოდა ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში ევროპა-ამერიკის მოდულის შეტანას, დაწესებულებაში ცალკე იყო შემუშავებული თურქოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები, შესაბამისად, ისტორიის სამაგისტრო პროგრამიდან ამოღებული იქნა თურქეთის ისტორია და ჩამოყალიბებული იყო ცალკე პროგრამის სახით. სტუდენტების მხრიდან წლების განმავლობაში იყო მოთხოვნა ევროპა-ამერიკის ისტორიის მიმართულებით. შესაბამისად, როგორც კი დაწესებულებას მიეცა საშუალება, აღნიშნული მოდული დაემატა პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დამშვების წინაპირობებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ბმაში იყო პროგრამის როგორც ძირითადი, ასევე არჩევითი საგნების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურასთან. ექსპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაცია იყო ლეგიტიმური, შესაბამისად, დაწესებულება კრიტიკული თვალთ ხელახლა შეისწავლიდა სილაბუსებს. დაწესებულებაში ყოველწლიურად ხდებოდა ფინანსების აკუმულირება ბიბლიოთეკაში ლიტერატურის გადახალისების მიზნით.

საბჭოს წევრი, ნათია ზედგინიძე დაინტერესდა 2.4 კომპონენტში გაცემული რჩევით, რომელიც ეხებოდა დასკვნითი და შუალედური გამოცდების შეფასების ფორმების დივერსიფიკაციას. მან მიმართა ექსპერტებს განემარტათ აღნიშნული რჩევა იყო ტექნიკური ხასიათის თუ ჰქონდა შინაარსობრივი დატვირთვა. მას ასევე შეკითხვა ჰქონდა კრედიტებთან დაკავშირებით. დაწესებულების რეგულაციის თანახმად, 1 კრედიტი წარმოადგენდა 25 საკონტაქტო საათს. ისტორიის საბაკალავრო პროგრამით თითოეული კურსის კრედიტები გაწერილი იყო 30 საათით. რეკომენდაციის თანახმად, საჭირო იყო საათების რაოდენობის შეცვლა. მან მიმართა ექსპერტებს განემარტათ რეკომენდაციის სიმძიმე.

ექსპერტმა, თეიმურაზ პაპასკირმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია დაიწერა სწორედ კრედიტებში აცდენის გამო. მისი მისაზრებით, დაწესებულებას თავისუფლად შეეძლო 25 კრედიტზე გაეკეთებინა 60 კრედიტიანი საკონტაქტო საათი. დაწესებულებამ 3 საკონტაქტო საათი გაზარდა 4-მდე და შესაბამისად გაიზარდა კრედიტის მოცულობაც. რეალურად სტუდენტის ინტერესი არ დაზარალებულა და სერიოზულ დარღვევას არ ჰქონდა ადგილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ლლონტმა განაცხადა, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად 1 კრედიტი განსაზღვრული იყო 25 საათით, თუმცა კანონმდებლობით ასევე განსაზღვრული იყო, რომ 25 დან 30 საათამდე შესაძლებელი იყო 1 კრედიტის განსაზღვრა. თუმცა ექსპერტთა ჯგუფთან მსჯელობის შემდგომ, დაწესებულებამ გაიზიარა რეკომენდაცია და განხორციელდებოდა კრედიტების კორექტირება.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს რაოდენობრივ ფაილთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, საბაკალავრო პროგრამებზე დაფიქსირებული იყო 90% ცდომილება კურსდამთავრებულებსა და ჩარიცხულ სტუდენტებს შორის. მას აინტერესებდა რა იყო ასეთი ცდომილების მიზეზი. გარდა ამისა, 28 სტუდენტი, რომლებიც სწავლობენ შემდგომ საფეხურზე, თქვენივე კურსდამთავრებულები არიან თუ ისინი სხვა უნივერსიტეტებში აგრძელებენ სწავლას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტთა ძირითადი ნაწილი სწავლას აგრძელებდა „ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე“, რომლის დასტური გახლდათ კურსდამთავრებულთა წარმოდგენილი მონაცემებიც. ბუნებრივ პროცესს წარმოადგენდა ის, რომ პირველკურსელი იცვლიდა პროგრამას და გადადიოდა სასწავლებლად სხვა უნივერსიტეტში, თუმცა ამ პროგრამაზე მოთხოვნადობა იყო მაღალი, რადგან ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა მაღალი იყო გადასული სტუდენტების რაოდენობაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:11

დასრულების დრო: 16:27

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ¹“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციების და რჩევები:

რეკომენდაცია:

1. ერთი ECTS კრედიტი უნდა განისაზღვროს უნივერსიტეტის დებულებით, როგორც 25 საათი და სავალდებულო საგნების კრედიტის საათების რაოდენობა შესწორებული უნდა იყოს როგორც სასწავლო გეგმაში, ასევე შესაბამის სილაბუსებში.
2. სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, მოძველებული და/ან უცხოენოვანი ლიტერატურა ამოღებულ უნდა იქნეს შემდეგი სილაბუსებიდან: 1. ზოგადი ეთნოლოგია; 2.. ახლო აღმოსავლეთის ისტორია (V-XXI სს.); 3. შუა საუკუნეების ისტორია (1); 4. შუა

საუკუნეების ისტორია (2); 5. ბიზანტიის ისტორია (ინგლისურად სათაური უნდა იყოს History of Byzantine Empire ან History of Byzantium); 6. რუსეთის ისტორია; 7. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია (1) (სწორი სათაური ინგლისურად უნდა დაიწყოს Modern and Contemporary History); 8. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია (2); 9. მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია; 10. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და თანამედროვე ისტორია; 11. შავი ზღვისპირეთის უძველესი ცენტრები; 12. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია; 13. თურქეთის ისტორია (XX-XXI სს.); 14. ქართული, ქართული დიასპორები საზღვარგარეთ; 15. საერთაშორისო ურთიერთობები და კონფლიქტები; 16. საზღვაო სტრატეგია საერთაშორისო პოლიტიკაში; 17. საქართველოს პირველი რესპუბლიკა;

3. რეკომენდებულია, აკადემიურ პერსონალში ინოვაციური სწავლების მეთოდების და პრაქტიკების განვითარების ხელშეწყობა.
4. რეკომენდებულია, საბიბლიოთეკო რესურსის უზრუნველყოფა, სასწავლო კურსების სილაბუსებში განახლებული ლიტერატურის შესაბამისად.
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის დონეზე უნდა გაძლიერდეს პროგრამის შეფასებისა და დამტკიცების პროცესებთან დაკავშირებით; ხოლო პროგრამების შეფასება უფრო სისტემატურად უნდა წარიმართოს. კერძოდ, ფაკულტეტის დონეზე აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაფილტროს პროგრამები ხარისხის გასაუმჯობესების მიზნით. შემდეგ პროგრამები უნდა დამტკიცდეს ფაკულტეტის დონეზე „ფაკულტეტის საბჭოს“ ან მისი ეკვივალენტი ორგანოს მიერ.
6. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განავითაროს უფრო ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავებისა და ცვლილებების პროცესში. გასაუმჯობესებელი სფეროები მოიცავს, მაგალითად, სტუდენტის დატვირთვის შეფასებას, სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობას, სილაბუსებსა და შეფასებაში ნებისმიერი გამეორების იდენტიფიცირებას და ა.შ.

რჩევები:

- უნდა გასწორდეს ტექნიკური შეცდომა საქართველოს ისტორიის (X-XIV სს.) კურსის სილაბუსში
- სასურველია შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების ფორმების დივერსიფიკაცია, კურსის ინდივიდუალური მახასიათებლებისა და მისი სწავლის შედეგების შესაბამისად;

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ სამაგისტრო, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ნინო ფავლენიშვილმა განაცხადა, რომ გაცემული იყო 10 რეკომენდაცია და 15 რჩევა. რეკომენდაციების ნაწილი შესრულებული იყო და დეტალურად იყო გაწერილი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში. ძირითადი რეკომენდაციები გაცემული იყო მეორე სტანდარტთან მიმართებით და ეხებოდა კურსების დამატებას, ლიტერატურის გამრავლფეროვნებას, ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამატებას, მეთოდოლოგიის კურსის დამატებას სავალადებულო სტატუსით და ა.შ. რეკომენდაციების ნაწილი არ იყო შესრულებული, ვინაიდან დაწესებულება არ ეთანხმებოდა აღნიშნულ რეკომენდაციებს. ერთ-ერთი ასეთი რეკომენდაცია ეხებოდა პრაქტიკის კურსს, სადაც გაცემული იყო რეკომენდაცია სეფასების ფორმის სტანდარტიზაციასთან დაკავშირებით და დაზუსტებულიყო რამდენი საათი იყო გამოყოფილი კონკრეტული აქტივობებისათვის. ასევე დაწესებულება არ ეთანხმებოდა რეკომენდაციას ზოგიერთი კურსის კრიტერიუმების დაკონკრეტებასთან დაკავშირებით და რეკომენდაციას შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების ამოქედებასთან დაკავშირებით სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

დაწესებულება მიიჩნევდა, რომ მას ჰქონდა ის მექანიზმები რითიც ის უზრუნველყოფდა შიდა მონიტორინგს. ასევე რეკომენდირებული იყო, რომ დამატებული ყოფილიყო საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები, რაც ასევე არ გაითვალისწინა დაწესებულებამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სასურველი იყო იმ ფორმით რა ფორმითაც არსებოდა საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი კურსი და არ მოხდებოდა მისი მოდიფიცირება, ასეთ შემთხვევაში პროგრამაში დამატებული უნდა ყოფილიყო საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების კურსი. დაწესებულებას ასევე გათვალისწინებული ჰქონდა გარკვეული რჩევებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ შესრულებული იყო პირველი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ეკონომიური თეორიების კურსის მოდიფიცირებას. პროგრამაში გათვალისწინებული იყო საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, რომელსაც დაემატა 5 მსხვილი თემა და კურსი გახდა მრავალფეროვანი. მეორე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროგრამაში საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების კურსის დამატებას დაწესებულებამ არ გაითვალისწინა. „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო პროგრამას ხორციელდებოდა 2012 წლიდან. 2014 წელს დაწესებულებამ შეიმუშავა ახალი სამაგისტრო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოება“. ექსპერტების რეკომენდაციით ახალ სამაგისტრო პროგრამაში დამატებული იქნა სწორედ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კურსი. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებამ მიიჩნია, რომ საბაკალავრო პროგრამაში შეეტანა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის შესავალი კურსის სახით. შესაბამისად მათი მოსაზრებით საბაკალავრო პროგრამაში არ იყო შეტანილი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კურსი. კურსს „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“ დაემატა ხუთი მსხვილი თემა და სავალდებულო სასწავლო კურსი „საერთაშორისო პოლიტიკა“. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა საუბარი პროგრამის ხელმძღვანელთან კურსის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც კურსს დამატა მთელი რიგი თეორიები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ კიკნაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტის შენიშვნას იმასთან დაკავშირებით, რომ უფრო დაწვრილებით უნდა ყოფილიყო ჩამოთვლილი თეორიები სილაბუსში, თუმცა პრაქტიკულად ყველა თეორია ისწავლებოდა საერთაშორისო ურთიერთობების შესავალ კურსში. როგორც აღინიშნა, წინა აკრედიტაციის პირობებში დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია კურსის სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით და კურსს ეწოდა „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“, ხოლო სამაგისტრო პროგრამას დაემატა „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“. მისი მოსაზრებით საბაკალავრო პროგრამაში კურსები იყო უფრო საბაზისო ხასიათის და შემდგომ უფრო რთულდებოდა სამაგისტრო პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ მესამე რეკომენდაცია მათ მიერ შესრულებული იყო, განახლებული იყო სილაბუსები და მოხდა ლიტერატურის გადახალისება. გაზიარებული იყო მეოთხე რეკომენდაცია, შეცვლილი იყო სასწავლო კურსის, კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, განმახორციელებელი პროფესორი, რომელმაც შეიტანა გარკვეული ცვლილებები სილაბუსში. რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა რიგი სასწავლო კურსების სტატუსი და შინაარსის გადახედვას მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისად. აღსანიშნავი იყო, რომ ის სასწავლო კურსები რომლებზეც აპელირებდა ექსპერტი, გახლდათ სპეციალობის სავალდებულო კურსები, რომლიც თავდაპირველადაც გახლდათ სავალდებულო და ასეთი სახით დარცა პროგრამაში. რაც შეეხებოდა მეექვსე რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა სტუდენტთა კვლევითი უნარების გაძლიერებას გათვალისწინებული იყო. ერთ-ერთი რეკომენდაცია მოითხოვდა სპეციალური შეფასების ფორმის შემუშავებას სტაჟირების განხმახორციელებლებისათვის, აღწერილი უნდა

ყოფილიყო მენტორის საქმიანობა და დეტალურად უნდა ყოფილიყო განსაზღვრული თუ რას გააკეთებდა სტუდენტი პრაქტიკის ობიექტზე. შუალედური დასკვნის პროექტის უკუკვშირთან ერთად დაწესებულებამ ცენტრში წარადგინა გადამუშავებული სილაბუსი, სადაც განსაზღვრულია მენტორის შეფასების კრიტერიუმები, დეტალურად იყო გაწერილი შეფასების ქულები, გაწერილი იყო თემები, დღიურის შევსების წესი და ა.შ. ყველაფერი რაც დაფიქსირებული იყო რეკომენდაციაში გაწერილი იყო სილაბუსში, შესაბამისად დაწესებულება არ იზიარებდა აღნიშნულ რეკომენდაციას. მერვე რეკომენდაცია ეხებოდა სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსების გადახედვას შეფასების კრიტერიუმების კონკრეტიზაციის მიზნით. აბსოლუტურად ყველა სილაბუსში დაკონკრეტებული იყო თუ რაში რამდენ ქულას იღებდა სტუდენტი, გაწერილი იყო შეფასების კომპონენტები, რეფერატის პრეზენტაციის ქულა, პროექტის პრეზენტაციის ქულა, ქვიზების შესრულება და ა.შ. მეცხრე რეკომენდაცია ეხებოდა საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების განახლებას, კვლევის მეთოდებისა და ნაშრომის გაფორმების სტილზე აქცენტირებას. საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესში, რომელიც ასევე ხელმისაწვდომი იყო საჯაროდ, დეტალურად იყო გაწერილი ყველაფერი რაც კი სტუდენტს სჭირდებოდა საბაკალავრო ნაშრომის მოსამზადებლად, მათ შორის თუ როგორ ხდებოდა თემის არჩევა. მიუხედავად აღნიშნულისა დაწესებულებამ გააკეთა მთელი რიგი დაზუსტებები. შესაბამისად დაწესებულება არ იზიარებდა მოცემულ რეკომენდაციას. მეათე რეკომენდაცია ეხებოდა მონიტორინგის შიდა ხარისხის მექანიზმების ამოქმედებას პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ყველა პროგრამისათვის შემუშავებული ჰქონდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, ყოველის სემესტრის ბოლოს გაუსის მეთოდით ყველა სასწავლო კურსის განმახორციელებელი შეისწავლიდა სტუდენტის მიერ მიღებულ შედეგებს, კეთდებოდა დიაგრამები და ხდებოდა სწავლის შედეგების ანალიზი იმის მიხედვით თუ რა შედეგებზე იყვნენ სტუდენტები გასული. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე სასწავლო კურსში მიღებული იქნებოდა არასახარბიელო შედეგი იწყებოდა მოკვლევა თუ რამ გამოიწვია ასეთი შედეგი. ასევე ყოველი სემესტრის ბოლოს კეთდებოდა სტუდენტების გამოკითხვები და კეთდებოდა შედეგების ანალიზი. კეთდებოდა ანგარიშები სადაც დეტალურად იყო აღწერილი თუ რამ გაამართლა ან ვერ გაამართლა პროგრამაში. საჭიროების შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იწყებდა მუშაობას პროგრამის მოდიფიცირებაზე. შესაბამისად დაწესებულება არ ეთანხმებოდა და იზიარებდა მეათე რეკომენდაციას.

ექსპერტმა, ნინო ფავლენიშვილმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის საგანთან დაკავშირებით კვლავ რჩებოდა კითხვის ნიშნები. დასკვნაში საუბარი იყო არა მხოლოდ ფორმაზე, არამედ იმაზე რომ ინტერვიუების დროს არ გამოიკვეთა პრაქტიკის განმახორციელებლები რა რაოდენობის სტუდენტს იღებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები. ზოგიერთ მემორანდუმში იყო განსაზღვრული რაოდენობები. გარდა ამისა, აუცილებელია დაკონკრეტებული ყოფილიყო თუ როგორ ფასდებოდა ზეპირი პრეზენტაცია, რეფერატი და ა.შ. სტუდენტთა ინტერვიუების დროს გამოიკვეთა სერიოზული პრობლემა „აკადემიური წერის“ კურსთან დაკავშირებით. ამ რეკომენდაციის მიაზანი იყო ის, კურსი მორგებული ყოფილიყო სფეროზე. რეკომენდაციის მიზანი იყო საბაკალავრო ნაშრომების შესრულების წესის გაუმჯობესება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, წერის უნარები რომელიც ისწავლებოდა სავალდებულო სასწავლო კურსად ითვალისწინებდა მთელ რიგ საკითხებს, რომელიც საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისათვის სჭირდებოდა სტუდენტს. სილაბუსის ავტორი სტუდენტებს აძლევდა თემებს, რომელიც იყო სპეციფიური დარგის შესაბამისი. სილაბუსში ნამდვილად მითითებული იყო ზეპირი პრეზენტაცია რეფერატის დაწერის შემდგომ. არ ფასდებოდა წერითი კომპონენტი, ანუ რეფერატი რომელის სტუდენტმა დაწერა. ფასდებოდა მის მიერ დაწერილი და შემდგომ წარმოდგენილი პრეზენტაცია. რაც შეეხებოდა დამსაქმებლებს, მემორანდუმებში ადრე არ მოითხოვებოდა სტუდენტთა რაოდენობის აღნიშვნა. ყველა ახალ მემორანდუმში განსაზღვრული იყო თუ რამდენი

სტუდენტი წავიდოდა პრაქტიკაზე. ყველა დამსაქმებელი იყო დარგის სპეციალისტი. ასევე საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით ორგანიზაციები იყო ძალიან ცოტა, მაგრამ მენტორები იყვნენ ძალიან გამოცდილები თავიანთ დარგში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:00

დასრულების დრო: 20:08

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის “საერთაშორისო ურთიერთობების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე -17

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის “საერთაშორისო ურთიერთობების” საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

6.მეექვსე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 21 დეკემბრის №1398795
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	საზოგადოებრივი ჯანდაცვა 0919
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120

14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 29, სასწალო კორპუსი 1.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ხათუნა თოდაძე

აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მექვესე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, თამარ ლობჯანიძემ განაცხადა, პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია 2021 წლის 21 დეკემბერს ერთი წლის თავზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით. დაწესებულების მიერ ანგარიში წარმოდგენილი იყო დროულად, გაცემული იყო 6 რეკომენდაცია, ფაქტობრივად ყველა რეკომენდაციაზე იყო გაკეთებული შესაბამისი რეაგირება, დოკუმენტაციის შესწავლამ აჩვენა, რომ ყველა რეკომენდაცია იყო შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით გელოვანმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და გაწეული შრომისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:18

დასრულების დრო: 20:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2⁶ პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

7.მეშვიდე საკითხი: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12/01/2022, გადაწყვეტილება #15403
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	საბაკალავრო
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, რუსთაველის #19, 0108, საქართველო თბილისი, აღმაშენებლის #40, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილები განაცხადა თინათინ ჭაბუკიანმა

აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ანა ქემელაშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის თანახმად, დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა და შეასრულა აკრედიტაციის ექსპერტებისა და საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, საანგარიშო პერიოდში გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურების მიერ იმისათვის, რომ რეკომენდაციები სრულად და დროულად შესრულებულიყო. ასევე გათვალისწინებული იყო რჩევებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია და რჩევა გათვალისწინებული იყო. მისი განცხადებით, პროგრამამ განიცადა მოდიფიკაცია, კერძოდ „ტელე-რადიო ჟურნალისტიკა“ გადაკეთდა „მულტიმედიურ ჟურნალისტიკად“, რომელიც მოვიდა შესაბამისობაში იმ გამოწვევებთან, რომლის წინაშეც იდგა თანამედროვე მედია. დაწესებულება პირველ რიგში ორიენტირებული იყო სტუდენტებზე, მათი უკუკავშირით გამოირკვა, რომ ისინი კმაყოფილები იყვნენ მოდიფიცირების შედეგად მიღებული პროგრამით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, რატი რატიანმა განაცხადა, რომ რჩევაში აღნიშნული იყო დაწესებულების თანამშრომლობის შესახებ ჩიკაგოს უნივერსიტეტთან. მას აინტერესებდა, თუ რა სახის თანამშრომლობას ჰქონდა ადგილი და რა იგულისხმებოდა აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ ჩიკაგოს უნივერსიტეტთან დაწესებულება გეგმავდას ერთობლივი პროექტების შექმნას. იგეგმებოდა სტუდენტური საერთო პროდუქტი, კერძოდ მულტიმედიური პროექტი, დოკუმენტალისტიკა და ა.შ. ამჟამად გაგზავნილი იყო 6 თემა. დაწესებულება ელოდებოდა დასტურს საერთო პროექტების განხორციელებისათვის. ჩიკაგოს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დრამისა და კინოს ფაკულტეტი, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ ორ უნივერსიტეტს შორის ურთიერთობის გაღრმავებას.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელს. მას აინტერესებდა, რა განმასახვავებელი ნიშნებით ხასიათდებოდა „მედიის კვლევის მეთოდების კურსი“ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე, იყო თუ არა სხვაობა ლიტერატურაში, ასევე ვინ წაიკითხავდა აღნიშნულ კურსს ორივე საფეხურზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურზე „მედიის კვლევის მეთოდების კურსი“ განსხვავებულად ისწავლება. საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტები სწავლობენ კვლევის მეთოდებს ე.ი. როგორ შეიძლებოდა კვლევის წარმოება. შემდგომ საფეხურზე უკვე გადადიოდნენ კონკრეტულ სპეციფიკაზე, რომელიც ახასიათებდა მედიისა და მედიაგარემოს კვლევას. შესაბამისად პირველ საფეხურზე სტუდენტი იღებდა ბაზისურ ცოდნას, მასალის მოძიებას, დამუშავებას და ა.შ. მაგისტრატურის საფეხურზე იწყებოდა აუცილებელი კვლევითი ნაშრომების შესრულება. საბაკალავრო საფეხურზე კეთდებოდა ორი საკვალიფიკაციო ნაშრომი, კერძოდ თეორიული და პრაქტიკული. სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტს ევალუბოდა მთლიანად თეორიული ნაშრომის წარმოდგენა. ორივე საფეხურზე კურსს გაუძღვებოდა ერთი და იგივე პედაგოგი. თუმცა ლიტერატურაში იყო განსხვავება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:36

დასრულების დრო: 20:38

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე -17

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^ბ პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

8.მერვე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #15239; 12.01.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი 13 კმ, #2 0131
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

9.მეცხრე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #15288; 12.01.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი 13 კმ, #2 0131

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
----	---	--

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა გოდერძი ბუჩაშვილმა

აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან სხდომას უხელმძღვანელმა ნათია ზედგინიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე და მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, მანანა ლომაჯანიძემ განაცხადა, რომ გაცემული იყო 7 რეკომენდაცია როგორც ქართულენოვან, ისე ინგლისურენოვან პროგრამებზე. დაწესებულებამ შვიდივე რეკომენდაცია სრულად გაითვალისწინა, რომელიც ასახულია ორივე პროგრამასთან წარმოდგენილ დასკვნებში. გარდა ამისა ნაწილობრივ გაითვალისწინებული იყო რჩევებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისათვის და განაცხადა, რომ უნივერსიტეტი შეეცადა მაქსიმალურად გაეთვალისწინებინა ყველა წარმოდგენილი რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძემ კითხვით მიმართა ექსპერტს. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სტაჟირების და პრაქტიკის გაძლიერებას. დასკვნის მიხედვით დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები ორ კომპანიასთან. კერძოდ „ეკონომიკური ტრანსფორმაციის ცენტრთან“ და „სპეროინვესტთან“. მემორანდუმებში არ იკითხებოდა სტუდენტების რაოდენობა. მას აინტერესებდა, რამდენად მიიღო ექსპერტმა მხედველობაში მემორანდუმი სადაც არ იყო განსაზღვრული სტაჟირების ვადა და სტუდენტების რაოდენობა და არსებობდა თუ არა სტანდარტი, რომელიც მოითხოვდა აღნიშნული ინფორმაციის დაზუსტებას მემორანდუმში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ ორგანიზაციები სტუდენტთა რაოდენობის ასახვას ხშირ შემთხვევაში არ ახდენდნენ მემორანდუმებში. ყოველი სემესტრის

წინ ინდივიდუალური სტუდენტისათვის ფორმდებოდა ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან. დაწესებულებამ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახა ასეთი ინდივიდუალური ხელშეკრულებები.

ექსპერტმა, მანანა ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ ორგანიზაციებს უჭირთ პრაქტიკის ობიექტზე განსაზღვრონ სტუდენტთა რაოდენობა. თუმცა ის გარემოება, რომ დაწესებულებამ შეძლო ორ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაფორმება იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი. საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძემ აღნიშნა, რომ მემორანდუმი არ იყო ხელშეკრულება და მას არ ჰქონდა იურიდიული ძალა. ეს გახლდათ ნებაყოფლობითი შეთანხმება ორ სუბიექტს შორის და არ ავალდებულებდა პრაქტიკის ობიექტს - კომპანიას აეყვანა წინასწარ განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობა. მას აინტერესებდა, გაეცნო თუ არა ექსპერტი დაწესებულების მიერ გამოგზავნილ სტუდენტთან გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებებს და დაახლოებით რა რაოდენობის ხელშეკრულება იყო გაფორმებული.

ექსპერტმა, მანანა ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ გამოგზავნილ კომპანიასთან დადებულ ხელშეკრულებებს არ გაცნობია იმიტომ, რომ უნივერსიტეტმა აკრედიტაციის დროს მიაწოდა ექსპერტთა ჯგუფს დადებული ხელშეკრულებები და არა ანგარიშის განხილვის პერიოდში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:47

დასრულების დრო: 20:59

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე -17

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2⁶ პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე -17

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2⁶ პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“

ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

10. მეათე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ლანდშაფტური არქიტექტურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №90 01.04.2019 წელი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ლანდშაფტური არქიტექტურის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება 0731
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საემის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეათე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, გიორგი წანაწყენიშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტები გაეცნენ და შეისწავლეს პროგრამა, გათვალისწინებული იყო ინფორმაცია პირველადი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, მიუხედავად ამისა, ექსპერტებს მაინც ჰქონდათ განსაზღვრული გარკვეული ტიპის რეკომენდაციები, რომლებიც მოცემული იყო დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს და განაცხადა, რომ დასკვნაში ასახული იყო ვრცელი რეკომენდაციები, მე-3 რეკომენდაცია მოითხოვდა ტექნიკური ხარვეზის გასწორებას. მას აინტერესებდა ხომ არ იყო აღნიშნული რეკომენდაცია რჩევის ხასიათის მატარებელი იმ შემთხვევაში თუ საუბარი ეხებოდა ტექნიკურ ხარვეზს.

ექსპერტმა, განაცხადა, რომ პროგრამაში უნდა გასწორებულიყო ტექნიკური ხარვეზი - მე-8 გვერდზე, გრაფაში „სულ არჩევითი კურსები“ მითითებული იყო 5-5 კრედიტი II და III სემესტრებში, ნაცვლად I და III სემესტრისა. მისი თქმით, აღნიშნული რეკომენდაციის გამოსწორება არ იყო რთული. უნივერსიტეტს ჰქონდა მისი გამოსწორების ყველანაირი რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან კინწურაშვილმა განაცხადა, რომ ლანდშაპტური არქიტექტურა კვლავიფიკაციათა ჩარჩოს ცვალებადობის შემდეგ აღმოჩნდა არქიტექტურაში და ქალაქდაგეგმარებაში კოდით 0731. სინამდვილეში აღნიშნული გახლდათ ე.წ. „მწვანე არქიტექტურა“ და წარმოადგენდა აგრონომიის დარგს. შესაბამისად გაცემულ რეკომენდაციებში წინა წამოწეული იყო არქიტექტურული საკითხები, რაც მათი პროგრამისათვის არ იყო ტრადიციული. თუმცა მნიშვნელოვანი იყო პროგრამის განვითარება და ბაზრისათვის რელევანტური. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით ექსპერტებმა მიუთითეს, რომ გათვალისწინებული ჰქონდათ რეკომენდაცია, რომელიც არ ჩანდა სილაბუსის მიხედვით. თუმცა მოცემული საკითხი გათვალისწინებული იყო თვითშეფასების ანგარიშში. როდესაც საუბარი იყო სამაგისტრო ნაშრომის სწავლის შედეგებზე, ცოდნა და გაცნობიერება წარმოდგენილი იყო მეტად უფრო ზოგადი ფორმულირებით იმასთან დაკავშირებით რაც პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებში დეტალურად იყო გაწერილი. შემდგომისათვის კიდევ უფრო მოხდებოდა აღნიშნული საკითხის ჩაშლა და დაკონკრეტება უშუალოდ სილაბუსში. რაც შეეხოდა პროფესიულ პრაქტიკასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას, მითითებული იყო რომ წამყვანი კომპონენტი უნდა ყოფილიყო უფრო მეტად არქიტექტურის მიმართულებით. აღნიშნული გათვალისწინებული იყო იმ თვალსაზრისით რომ, შესაბამის სილაბუსში შინაარსობრივ ნაწილში უკვე მითითებული იყო სპეციალური კომპიუტერული არქიტექტურული პროგრამები და სხვადასხვა საკითხები, რომლებიც პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას ემსახურებოდა. ქუთაისში, საქალაქო სამსახურში - მერიაში არსებობდა „სივრცის, დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და ნებართვების გაცემის სამსახური“, რომელთანაც გაფორმებული იყო ხელშეკრულება და მათი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები შეძლებდნენ გაეცლოთ პრაქტიკა. ასევე მესამე რეკომენდაციაში ნამდვილად ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს, სასწავლო გეგმაში სადაც მითითებული იყო კრედიტები, რეზიუმირებულ გრაფაში შეცდომით ეწერა 5 კრედიტი. ლიტერატურასთან დაკავშირებით

გაცემული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იყო, დაემატა ფასეული ლიტერატურა, თუმცა დაწესებულება ბოლომდე არ იზიარებდა ექსპერტების მოსაზრებას იმის თაობაზე რომ პროგრამაში არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ინგლისურენოვანი წყაროები ვინაიდან პროგრამა იყო ქართულენოვანი. პროგრამას უკვე გავლილი ჰქონდა აკრედიტაცია, მიეკუთვნებოდა სამაგისტრო საფეხურს და წინა შეფასებების მიხედვით სამაგისტრო პროგრამას აუცილებლად უნდა მოეცვა უცხოენოვანი ლიტერატურაც. თუმცა თუ ექსპერტების მხრიდან ადგილი ექნებოდა დაჟინებულ მოტხოვნას, დაწესებულება დამხმარე ლიტერატურაში გადაიტანდა უცხოენოვან სახელმძღვანელოებს. რაც შეეხებოდა ექსპერტების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სამაგისტრო ნაშრომებში უფრო მეტად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი არქიტექტურული ელემენტები დაწესებულება იზიარებდა . ასევე დაწესებულება ამავე დროს განმარტავდა, რომ ვინაიდან აღნიშნულ დრომდე სტუდენტს კვალიფიკაცია ენიჭებოდა აგრარული მიმართულებით, მათ მიერ წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომებში თავისთავად ვერ იქნებოდა წარმოდგენილი არქიტექტურული ელემენტები. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას იმის თაობაზე, რომ სტუდენტების შეფასების უწყისში არ ჩანდა დარგის სპეციფიკა, აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება ნაწილობრივ ეთანხმებოდა, თუმცა განმარტავდა, რომ შეფასების უწყისი გახლდათ ყველასათვის საერთო დადგენილი ფორმა, თუმცა კორექტირების უფლება ჰქონდა ფაკულტეტს მათი საბჭოს და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ექსპერტმა, ნინო ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ „ლანდშაპტური არქიტექტურა“ წინა საკვალიფიკაციო ჩარჩოშიც მოქცეული იყო არქიტექტურის ქვეშ. აღნიშნული პროცესის მიზანი გახლდათ ის, რომ პროგრამა შესაბამისობაში ყოფილიყო ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, პროგრამა ვინაიდან ანიჭებდა ლანდშაფტის არქიტექტორის კვალიფიკაციას, მასში აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული არქიტექტურის კომპონენტები. მისი მოსაზრებით, სწორედ არქიტექტურის კომპონენტი გახლდათ სუსტად წარმოდგენილი პროგრამაში, შესაბამისად მისი სურვილი იყო აღნიშნული ასპექტის გამოსწორება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან კინწურაშვილმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტის მოსაზრებას. დაწესებულების აგრარული ფაკულტეტი გახლდათ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმემკვიდრე, აღნიშნული უნივერსიტეტი გახლდათ ერთადერთი უნივერსიტეტი, რომელსაც ჰქონდა უდიდესი გამოცდილება ლანდშაფტური მიმართულებით მუშაობის. მხოლოდ ამ უნივერსიტეტში მზადდებოდა გაწვანებისა და დეკორაციული მებაღეობის მიმართულებით სტუდენტი. შესაბამისად, დაწესებულებას ხელთ ჰქონდა რეკომენდაციები და შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად გაითვალისწინებდა რეკომენდაციებს და ექსპერტების მოსაზრებებს.

ექსპერტმა, გიორგი წანაწყენიშვილმა აღნიშნა, რომ ლანდშაფტური არქიტექტურა გახლდათ არქიტექტურა დაწყებული ფორმათწარმოქმნიდან, მცირე არქიტექტურული ფორმებიდან, სივრცითი დაგეგმარებიდან და ა.შ. ყოველივე აღნიშნული წარმოდგენდა გარემოს შექმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. პროგრამაში ასევე ფიქსირდებოდა ისეთი ელემენტარული შეცდომები, რომელიც ეხებოდა არქიტექტურულ ტერმინოლოგიას. პროგრამის კურსდამთავრებული იყო არქიტექტორი, რომლის ინსტრუმენტი გახლდათ ლანდშაფტი. პროგრამის ძირითადი ნაწილი იყო აგრარული მიმართულება შესაბამისად ის გამდიდრებული უნდა ყოფილიყო არქიტექტურული კომპონენტით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მარინა მაისურაძემ განაცხადა, რომ ერთ-ერთ რეკომენდაციაში იყო ცანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ გამოცდა თეორიაში არ იყო საკმარისი, ასევე გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო კლაუზურაც. მისი მოსაზრებით დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ფორმატი იყო სრულიად მისაღები, ვინაიდან პროგრამაზე ჩაირიცხებოდნენ მომიჯნავე დარგის კურსდამთავრებულები, რომლებსაც დიდი ალბათობით არ ეცოდინებოდათ

თუ რა იყო კლაუზურა, ესკიზური პროექტი და ა.შ. მან არქიტექტურულ გრაფიკასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს და სთხოვა განემარტათ ხომ არ იქნებოდა უკეთესი არქიტექტურულ გრაფიკაში შეტანილი ყოფილიყო ხატვა და კომპოზიციური საფუძვლები, ან გაძლიერებული ყოფილიყო სილაბუსი.

ექსპერტმა, გიორგი წანაწყენიშვილმა განაცხადა, რომ პროგრამის სახელწოდება იყო „ლანდშაფტური არქიტექტურა“. სტუდენტი, რომელიც ჩაირიცხებოდა აღნიშნულ პროგრამაზე, მისი მიმართულება იქნებოდა „არქიტექტურა“. მას აუცილებლად უნდა გაეგო დამატებითი პროგრამები, სისტემურად ჩართულიყო არქიტექტურაში. მაგისტრატურა წარმოადგენდა უფრო მაღალ საფეხურს, შესაბამისად მას უნდა ჰქონოდა მეტი კომპეტენცია. შესაბამისად გამოცდაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო როგორც კლაუზურა, ისე ესკიზური პროექტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 21:36

დასრულების დრო: 21:52

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების 60 დღის ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვრა 60 დღის ვადა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულებისათვის.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ინანაშვილმა საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იყო კორესპონდენციები, რომელიც შეეხებოდა აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების, საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოსადგენი ანგარიშების ვადების გახანგრძლივებას. დაწესებულებას ანგარიშების წარმოდგენა ევალებოდა 2023 წლის იანვარში. წერილში აღწერილი იყო ის შემაფერხებელი გარემოებები რის საფუძველზეც დაწესებულებამ ვერ შეძლო დადგენილ ვადაში ანგარიშების წარმოდგენაში. წერილის თანახმად, დაწესებულება ითხოვდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე უმაღლესი

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაეყენებინა შუამდგომლობა ვადების გახანგრძლივების თაობაზე და საბჭოს წევრებს მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება. დაწესებულება ითხოვდა ვადის გახანგრძლივებას შემდეგ პროგრამებზე:

- „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- "განათლების ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- "ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასების და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- "გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- "სოციოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- "ევრაზიისა და კავკასიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული პროგრამებისათვის ვადის გახანგრძლივების საკითხი. საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამებს ანგარიშების წარმოსადგენად განესაზღვრათ ვადა 2023 წლის 31 მარტამდე. ამავე დროს საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს და განაცხადა, რომ აღნიშნული ფაქტი არ უნდა დადგენილიყო პრეცედენტად. შესაბამისად ცენტრს უნდა გაემახვილებინა ყურადღება იმაზე, რომ დაწესებულებებს დროულად წარმოედგინათ ანგარიშები.

21:52 საათზე სხდომა გამოცხადდა დახურულად

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



რ. რატიანი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

